№ 3-19/01172681270-16

"20" 10 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა უნივერსიტეტის, №6-ში (საკ. კოდი №01.14.06.008.141) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრაავლფუნქციური კომპლექსი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2768465 10.08.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა უნივერსიტეტის, №6-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

A ბლოკი

„1-5"ფასადზე: ცოკოლზე ფიქსირდება წყალგადამყვანი მილები. „1-2" და „3-4" მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯრები. „1-2" მონაკვეთში განთავსებულია კონდიციონერი. „2-2" ღერძზე შეცვლილია კედლის მდებარეობა.

„5-1" ფასადზე: „4-3" და „2-1" მონაკვეთში გაუქმებულია გარე კიბეები და კარები, ხოლო „3-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ბაქანი და კარი. „1-1" ღერძთან გაუქმებულია მოაჯირი.

„გ-ა" ფასადზე: შემცირებულია ვიტრაჟის სიმაღლე და გადაწეულია უკან 0.2 მ-ით. „ბ-ბ" ღერძთან გაუქმებულია მოაჯირის ნაწილი.

შენობაში სენდვიჩპანელები მოწყობილია სვეტების გარედან, სახურავზე გაუქმებულია გამწოვები. შენობის გარშემო ცოკოლი არ არის მოპირკეთებული სენდვიჩპანელით. შეცვლილია რელიეფის დონე.

B ბლოკი

სახურავის სენდვიჩპანელის ნაცვლად მოწყობილია პროფილირებული თუნუქით.

C ბლოკი

„1-10" ფასადზე: „1-2" და „8-10" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯრები. „7-8" მონაკვეთში ფიქსირდება ლითონის კოჭის ნაშვერი.

„10-1"ფასადზე: შეცვლილია მანძილი ღიობებს შორის. „6-5" მონაკვეთში გაზრდილია კარის სიგანე. „3-2" მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯარა.

„გ-ა" ფასადზე: დამატებით მოწყობილია საჰაეროები.

შემცირებულია შენობის სიგრძე 1.6 მ-ით და შეცვლილია მანძილი ღერძებს შორის. სახურავზე გაუქმებულია გამწოვები. შეცვლილია სახურავის ქანობის მიმართულება და დახრა მიმართულია „1-10" ფასადის მხარეს.

D ბლოკი

„ა-თ" ფასადზე: გაუქმებულია წყალშემკრები მილები.

შემცირებულია შენობის სიგანე 0.2 მ-ით. ასევე შეცვლილია გადახურვის მასალა, სახურავის სიმაღლე და ქანობის მიმართულება.

E ბლოკი

„1-4" ფასადზე: ცოკოლზე, „1-2" მონაკვეთში მოწყობილია საავტომობილო კარი, ხოლო „2-4" მონაკვეთში მოწყობილია ფანჯრები. +0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია გამწოვი და წყალშემკრები მილები. „1-2" მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯარა. „1-4" და „ზ-ა" ფასადზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო ბანერები.

„ა-ზ" ფასადზე: ცოკოლზე დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი და ფანჯრები. „გ-დ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის გარე კიბე. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი. ასევე შეცვლილია აივნის გაბარიტები.

„4-1" ფასადზე: „4-3" დამატებით მოწყობილია ლითონის გარე კიბე, ხოლო „2-1" მონაკვეთში მოწყობილია ლითონის პანდუსი. ფასადზე გაუქმებულია მოაჯირები. შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი.

+0.00 ნიშნულის ქვეშ, „1-4"-„ა-გ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 2.5 მ სიმაღლის 170 კვ.მ ფართის სივრცე. ასევე შენობის გარშემო ცოკოლი არ არის მოპირკეთებული სენდვიჩპანელით. შეცვლილია შენობის კონსტრუქციული სქემა: ლითონის საყრდენი სვეტებისა და კოჭების ნაცვლად მოწყობილია მონოლითური კოლონები და რიგელები. ასევე შეცვლილია გადახურვის მასალა და ქანობიანის ნაცვლად მოწყობილია ბრტყელი. დამატებით მოწყობილია პარაპეტი. სახურავზე შეცვლილია გამწოვების განთავსების ადგილი და დამატებით მოწყობილია ბეტონის ბაქანი. ფიქსირდება კოლონების არმატურის ნაშვერი.

შენობების სახურავში დამატებულია ლითონის საყრდენი დეტალები.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა და დასასრულებელია. ტერიტორიაზე B და C ბლოკებს შორის დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია, ხოლო A და B ბლოკებს შორის მოწყობილია ლითონის სვეტები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ქლინ სტოპი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა უნივერსიტეტის, №6-ში (საკ. კოდი №01.14.06.008.141) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრაავალფუნქციური კომპლექსი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172681270-17 25.09.2017წ. განცხადება.
№წ-19/01172681270-17 27.09.2017წ. ბრძანება.



სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე